## საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

## ბრძანება № 658

თბილისი „23“ 05 2019 წ.

**„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „ახალი ქართული წიგნის“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N410 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „ახალი ქართული წიგნი“ გამარჯვებულების დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის პირველი აპრილის N410 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „ახალი ქართული წიგნი“ ფარგლებში სამინისტროში რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 აპრილის N475 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის 2019 წლის 07 მაისის N1 სხდომის ოქმისა და 2019 წლის 14 მაისის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 21 მაისის N601737 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „ახალი ქართული წიგნის“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019

წლის 01 აპრილის N410 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „ახალი ქართული წიგნი“ გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის დაწყების თარიღად განისაზღვროს არაუადრეს 2019 წლის 15 ივნისისა;

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2019 წლის 25 მაისისა;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი

**„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „ახალი ქართული წიგნის“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N410 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „ახალი ქართული წიგნი“ გამარჯვებული პროექტები**

1. ტარიელ ჭანტურია ლექსების კრებული - „სიყვარულის შავი ყუთი 3“ - შპს - „კალმოსანი“;
2. ლია სტურუა-პოეზია - შპს - „გამომცემლობა ბაკმი“;
3. ვაჟა ხორნაულის კრებული - „მწვანე კუნძულის წყაროები (რჩეული)“ - შპს - „კალმოსანი“;
4. დიანა ანფიმიადი -„ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“ - შპს - „გამომცემლობა არტანუჯი“;
5. ირაკლი სამსონაძე - „ქელეხი-ქორწილი“ - შპს - „გამომცემლობა ინტელექტი;
6. სოსო მეშველიანი- „ალპური ყვავილები“ - შპს - „გამომცემლობა ინტელექტი“;
7. შორენა ლებანიძე - „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“- შპს - „გამომცემლობა არტანუჯი“;
8. „დედამიწიდან ვარსკვლავებამდე“ – შპს - „მერანი“.